

## პროტესტანტიზმი

კათოლიკე ბერი გერმანიიდან, მარტინ ლუთერი, ახალგაზრდობიდანვე აკვირდებოდა და ხედავდა პაპის კარისა და რომის სასულიერო პირთა უკიდურეს თავაშვებულობასა და გარყვნილებას, ამან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მის საღვთისმეტყველო შეხედულებებზე და შეურყია წარმოდგენა რომის „ეკლესიის“ მსახურთა წმინდანობაზე. 1516 წელს, როდესაც რომში წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობისათვის სახსრების მოსაკრებად მრავლად იყიდებოდა „ინდულგენციები“, არა მარტო უკვე ჩაღწეული, არამედ მომავალში ჩასადენი ცოდვების (!) ფულით გამოსყიდვის მოწმობები, ლუთერი გამოვიდა და ამხილა ასეთი მკრეხელური ვაჭრობა. გაიმართა სიტყვიერი პაექრობა ლუთერსა და დომინიკანელ ბერ ტეცელს შორის, რომელიც ლუთერს „ეკლესიიდან“ განკვეთითა და ერეტიკოსთა კოცონზე დაწვის უფლებით დაემუქრა. საპასუხოდ ლუთერმა 1517 წელს ვიტენბერგის ტაძრის კარებზე მიაჭედა თავისი 95 თეზისი, რომელშიც გადმოსცა საკუთარი შეხედულებები სინანულის, სარწმუნოებით გამართლებისა და ინდულგენციის მავნებლობის შესახებ. რამდენიმე წელი მიმდინარეობდა დავა, რომლის დროსაც ლუთერმა უარყო პაპის ავტორიტეტი, ამ უკანასკნელმა კი ლუთერი „ეკლესიიდან“ განკვეთა. მხოლოდ საერო ხელისუფლების მხარდაჭერამ გადაარჩინა ლუთერი სიკვდილს. მას გერმანიაში მხარს უჭერდნენ მრავალი სასულიერო პირი, პროფესორები, სტუდენტები, რაინდები და თავადები. დაიწყო განხეთქილება და ლუთერისა და მისი მომხრეების გამოყოფა რომის პაპისტური „ეკლესიიდან“. სწორედ ამ განხეთქილებიდან იღებს სათავეს პროტესტანტული მიმდინარეობა.

## ლუთერანობა

ლუთერმა და მისმა მომხრეებმა მიზნად დაისახეს ალღვინათ ეკლესიის სწავლება მოციქულებრივი სიწმინდით, მაგრამ ვერ გაუმკლავდნენ ამ ამოცანას, რადგან დახმარებისათვის მათ არ მიმართეს აღმოსავლეთის, მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც ურყევად იდგა მოციქულებრივ სწავლებაზე და რომელმაც ლუთერამდე თითქმის 500 წლით ადრე ამხილა და ანათემას გადასცა რომის „ეკლესია“. ლუთერსა და მის მომხრეებს კი მრავალი საუკუნე აშორებდა ჭეშმარიტი ქრისტიანობიდან და არ ჰქონდათ ცოცხალი სულიერი გამოცდილება, ასევე – ქრისტეს ეკლესიის ძველი მამებისა და მასწავლებლების სწავლების ცოდნა. შუასაუკუნოებრივი სქოლასტიკური განათლება კი ქრისტიანობას დამახინჯებულად წარმოადგენდა. სწავლების განმარტების ერთადერთ წყაროდ მათ ჰქონდათ საკუთარი ვარაუდები და მოსაზრებები.

თუკი მართლმადიდებელი ეკლესია ამხელდა რომის „ეკლესიას“ მის მიერ წმ. გადმოცემის ბოროტად გამოყენებისა და იმ გამოგონილი დოკუმენტებისა თუ ფაქტების გამო, რომლებიც უცხო იყო ღმრთის სიტყვისათვის, პროტესტანტები საერთოდ დაშორდნენ მოციქულებრივ გადმოცემას, უარი თქვეს ეკლესიის წმ. მასწავლებლების სულიერ გამოცდილებაზე, მსოფლიო კრებების დადგენილებებზე, სარწმუნოებრივი საკითხების განმარტებისათვის ერთადერთ წყაროდ დაიტოვეს წმ. წერილი, რომელსაც თვითნებურად განმარტავდნენ. ეკლესიის წმ. გადმოცემის არცოდნა და პრინციპულად უარყოფა გახდა მთავარი მიზეზი პროტესტანტების ცლომილებისა, რადგან ღმრთის სიტყვა – ესაა წმ. წერილი (ბიბლია, სახარება) და წმ. გადმოცემა. წმ. მოციქული პავლე მოგვიწოდებს, მტკიცედ ვიდგეთ წმ. გადმოცემაზე, ხოლო წმ. მოციქული იოანე წერს: **„არიან სხვანაცა მრავალნი, რომელ ქმნა იესუ, რომელნი თუმცა დაიწერებოდეს თითოეულად, არცაღა ვჭვონებ, ვითარმედ სოფელმან დაიტია აღწერილი წიგნები“** (იოვანე. 21, 25), რაც იმაზე მიუთითებს, რომ განკაცებული მაცხოვრის საქმენი და სწავლება არა მხოლოდ დაწერილია, არამედ მათი დიდი ნაწილი სწორედ წმ. გადმოცემითაა დაცული. **„მოციქულებს ყველაფერი არ გადმოუციათ წერილებით, არამედ მრავალი დაწერილის გარეშეც; მაგრამ ერთიცა და მეორეც ღირსია რწმენის.**

*ამიტომ ჩვენ სარწმუნოდ მივიჩნევთ წმ. გადმოცემასაც*“, – წერს წმ. იოანე ოქროპირი. ამასვე გვასწავლიან სხვა წმ. მამები წმ. გადმოცემის შესახებ. პროტესტანტებმა პრინციპულად უარყვეს მოციქულებრივი გადმოცემა, ეკლესიის ძველ მამათა ავტორიტეტი, სამაგიეროდ ეს ავტორიტეტი დაუშკვიდრეს ახალ გერმანელ ღმრთისმეტყველებს: ლუთერს, კალვინს და სხვებს.

ლუთერანები ამტკიცებენ, რომ ადამიანის გადარჩენა და ცოდვებისაგან განთავისუფლება ხდება ღმრთის მიერ, და არა ადამიანის საქმეებით, მხოლოდ რწმენით, რომლის მიღებაც დამოკიდებულია მთლიანად ღმერთზე, მისი ნებითა და ნებართვით; რომ ღმრთის მაღლი ადამიანზე ზემოქმედებით შთააგონებს მას ქრისტეს რწმენას, და ეს არის ერთადერთი პირობა გადარჩენისა – ის აქცევს ადამიანს მართლად. ამ რწმენის თავისებურება ისაა, რომ ადამიანს ეჭვი არ ეპარება ღმრთის მაღლის მიღებაში. თავისი რწმენის წყალობით ადამიანი ხდება წმინდანი, ღვთისმოსავი და ღმრთის გამართლებული შვილი. ასე მოკლედ გამოითქმება აზრი რწმენით გამართლების შესახებ, რომელიც არის პროტესტანტული დოგმატიკის საწყისი პუნქტი. მაგრამ წმ. წერილი არ ეთანხმება ლუთერანების სწავლებას, რადგან იგი იფარავს ისეთ ელემენტებს, რომლებსაც მივყავართ ქრისტიანული ზნეობრიობის ნგრევამდე. ეს დოგმატი ეწინააღმდეგება ღმრთის სიტყვას და მომდინარეობს წმ. მოციქულთა სიტყვის არასწორი გაგებიდან.

ლუთერმა აიღო წმ. მოციქულ პავლეს სიტყვები განყენებულად, ტექსტიდან და მოციქულის ძირითადი აზრისგან მოწყვეტილად: *„და უწყით, რამეთუ არა განმართლდეს კაცი საქმეთაგან შჯულისათა, გარნა სარწმუნოებითა იესუ ქრისტესითა, და ჩუენ იესუ ქრისტეს მიმართ გურწმენა, რადთა განვმართლდეთ სარწმუნოებითა ქრისტესითა და არა საქმეთაგან შჯულისათა; რამეთუ საქმეთაგან შჯულისათა არა განმართლდეს ყოველი კორციელი“* (გალ., 2, 16). ამ სიტყვებით მოციქული პავლე გამოდიოდა არა კეთილი საქმეების, არამედ იუდეველი სწავლულების, მათი ცრუ თვითდაჯერებულობის წინააღმდეგ, რომლებიც თვლიდნენ, რომ გადარჩენის დამსახურება ხდება მოსეს კანონის გარეგნული აღსრულებით: წინადაცვითით, შაბათის დაცვით, ხელთა დაბანვითა და მისთ. იგივე პავლე მოციქული რომაელებს სწერს, განკითხვის დღეს უფალი ყველას მათ საქმეთა შესაბამისად მიაგებს, ხოლო მოციქული პავლე ეუბნება: *თქვენ მამას მას უწოდებთ, ვინც პირუთვნელად სჯის ყოველს საქმეთაებრ მათთაო, და კიდევ: „ამისთვის, ძმანო, უფროდს-და ისწრაფეთ, რადთა კეთილთაგან საქმეთა მტკიცე ჰყოთ ჩინებად იგი თქუენი და რჩეულებად; რამეთუ ამას რად იქმოდით, არასადა სცთეთ ყოველადვე. არამედ ესრეთ მდიდრად წარგემართოს თქუენ შესავალი იგი საუკუნეთა მას სასუფეველსა უფლისა ჩუენისა და მაცხოვრისა იესუ ქრისტესსა“* ( ეტრე 2. 1, 10-11). წმ. იაკობ მოციქული ასხვავებს ცოცხალ და მკვდარ, მაცხოვრებელ და არამაცხოვრებელ რწმენებს ერთმანეთისაგან. *„რად სარგებელ არს, ძმანო ჩემნო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნოებად მატუს და საქმენი არა ჰქონდინ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნოებასა ხოლო ცხოვნებად მისა? . . ეგეცა სარწმუნოებად: უკუეთუ არა აქუნდინ საქმენი, მეუდარ არს იგი ხოლო“* (იაკობ. 2, 14-17). ღმრთის რწმენა ეშმაკებსაც აქვთ: *„შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი? . . ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“* (იაკობ. 2, 19). თავად უფალი ამბობს, რომ მარტო რწმენით ვერ ცხონდება ადამიანი: *„არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო, და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა“* (მათე. 7, 21).

ლუთერმა უარყო რომის პაპისტური ეკლესიის უკიდურესობანი, მაგრამ თვითონაც შთავარდა უკიდურესობაში: მან უარყო არა მხოლოდ ღვთივდამტკიცებული სამღვდლოება და საიდუმლოებები, არამედ ეკლესიის მოციქულებრივი გაგებაც. ლუთერი ამბობს: ჭეშმარიტი ეკლესია იქაა, სადაც დაუზიანებლად დაიცვება ღმრთის სიტყვა და სწორად გადმოიცემა საიდუმლოთა სწავლებაო, მაგრამ ლუთერმა თავადვე დაარღვია ეს კრიტერიუმი, უარყო რა ძველი ეკლესიის სულიერი გამოცდილება, წმ. გადმოცემა და კრებისითი საეკლესიო გონი, შეცვალა ისინი თვითნებური გაგებითა და მიდგომებით.

*„სულიერი სამღვდელეობა, – ამბობს ლუთერი, – ყველა ქრისტიანის კუთვნილებაა. ჩვენ ყველანი ვართ მღვდლები, ე.ი. ჩვენ ყველანი უმაღლესი მღვდლის, ქრისტეს შვილები ვართ. ამიტომ ჩვენ არ გვჭირდება არავითარი სხვა მღვდელი, გარდა ქრისტესი, რადგან ყოველმა ჩვენთაგანმა მიიღო დანიშნულება თავად ღმრთისაგან... ჩვენ ყველანი ნათლობით ვხდებით მღვდლები“.* ლუთერის მიხედვით, ეკლესიაში ყველას შუძლია იქადაგოს ღმრთის სიტყვა და შეასრულოს საიდუმლოებები. პასტორები და სუპერინტენდანტები არსებობენ მხოლოდ წესრიგისათვის. ისინი აირჩევიან თემის მიერ იმათგან, ვისაც შეუძლიათ ასწავლონ თემის წევრებს. უხუცესთა არჩევისას ისინი ადებენ მას ხელებს, ანუ ახორციელებენ ხელდასხმას. აქ არა აქვს ადგილი მოციქულებრივ მემკვიდრეობითობასა და სამღვდლო მადლს, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციული დანიშვნა ხდება ქადაგის თანამდებობაზე.

პროტესტანტების ეს მიდგომა ეწინააღმდეგება პირველქრისტიანული ეკლესიის გაგებას სამღვდელეობის როლთან დაკავშირებით. ასევე, და არ არის სწორი იმის მტკიცება, რომ იესო ქრისტემ და მოციქულებმა არ მოგვცეს არავითარი მოწყობა ეკლესიისა. სინამდვილეში მაცხოვრის აღდგომის შემდეგ, 40 დღის განმავლობაში, უფალი ელაპარაკებოდა თავის მოწაფეებს „ღმრთის სასუფევლის“ შესახებ (მოციქულთა საქმენი), ანუ ეკლესიის – მორწმუნეთა საკრებულოს – მოწყობის შესახებ. უფალმა მოციქულებს მისცა უფლება, აღესრულებინათ საიდუმლოებები და ექადაგათ სარწმუნოება: *„მოუცდა მათ იესუ, ეტყოდა და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცნეთ თქვენ და აჰა ესერა მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“* (მათე. 28, 18-20). ასევე უფალმა მოციქულებს მისცა უფლება, ეხელმძღვანელათ ადამიანებისათვის და წარემართათ ისინი ცხოვნებისაკენ: *„როგორც მე მომავლინა მამამან, მეც მიგავლინით თქვენ“.* უთხრა რა ეს, შეჰბერა მათ და თქუა: *„მიიღეთ სული წმიდა“.* თავად მოციქულები მოწმობენ იმას, რომ არა მორწმუნეთა საკრებულომ, არამედ თავად უფალმა მოუწიდა მათ სამოციქულო საქმეებისაკენ მისდა მსახურებად, ანუ მოწოდებულ იქნენ „არა ადამიანების მიერ, არამედ იესო ქრისტესა და მამა ღმერთის მიერ“. მოციქულებმა დაიცვეს და მემკვიდრეობით გადასცეს ეკლესიის ცხოვრების ის აგებულება, წესი და წესრიგი, რომელიც თავად უფალმა დაადგინა. ისინი თავად ახდენდნენ ეპისკოპოსებისა და პრესვიტერების ხელდასხმას.

ლუთერის სწავლებამ მხოლოდ რწმენით გამართლების შესახებ გამოიწვია საეკლესიო საიდუმლოებების მიმართ დამოკიდებულების ცვლილება: საიდუმლოებებს ლუთერანებისთვის მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ და, ლუთერანთა მიხედვით, მორწმუნის ძალმოსილება მდგომარეობს მის დარწმუნებულობაში, რომ ის გამართლებულია. ლუთერანებს დარჩათ მხოლოდ ორი საიდუმლოება, უფრო სწორედ, მათი გარეგნიული ფორმა, – ნათლისღება და ზიარება. მაგრამ მათი სწავლება ამ საიდუმლოებების შესახებ უცნოა ეკლესიის სწავლებისათვის. პროტესტანტების ცრუ სულიერება კლინდება მისტიციზმში – მათ ღმერთთან ურთიერთობის პრეტენზია აქვთ საიდუმლოებებისა და ღმრთისმსახურების გარეშე და გვერდის ავლით.

თავიანთი ცდომილების კვალობაზე პროტესტანტები მივიდნენ ცოცხლებსა და გარდაცვლილებს შორის ურთიერთობის უარყოფამდე, არ თვლიან საჭიროდ მიცვალებულთა სულებისათვის ლოცვას, წმინდანების მიმართ თხოვნას, რომ იყვნენ ჩვენი მეოხნი. ამ უარყოფას ისინი ასაბუთებენ სუფთა რაციონალისტური მოსაზრებით: რა საჭიროა ლოცვა, როდესაც ღმრთის განგებულებას ვერ შეცვლი, და თუკი ქრისტემ ჩვენი გამოხსნის საკითხი ღმრთის წინაშე სავსებით მიიტანა. ასეთ სწავლებას მორალური პასიურობისაკენ მიყვავართ.

ამგვარად, ლუთერანული მოძრაობა ლუთერიდან მოყოლებული უარს ამბობს ეკლესიის ცოცხალი გამოცდილების ფასეულობაზე – წმ. გადმოცემაზე, ღმრთისმშობლის, ქალწულ მარიამისა და წმინდანების პატივისცემაზე, მოცვალებულთათვის ლოცვაზე, ეკლესიის აგებულებასა და

მოწყობაზე, წმიდა საიდუმლოებებზე, ხატებზე, ჯვარზე და მიიჩნევს, რომ მხოლოდ ერთი რამ, რწმენა, საკმარისია იმისათვის, რომ დავიმსახუროთ ცათა სასუფეველი. ქრისტიანობის ეს ლუთერანული დამახინჯება აჩენს უფსკრულს მასა და ერთი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიის რწმენას შორის.

## ბაპტიზმი – სულის წარსაწყმედელი

რომის ეკლესიამ მწვალებლობაში შთაყარდნის შემდეგ ქრისტეს ეკლესიიდან „განდევნა“ ეკლესიის თავი, თვით ქრისტე მაცხოვარი, და მის ნაცვლად ეკლესიის თავად პაპი დააყენა, დაარქვა მას ღმრთის ნაცვალად დედამიწაზე, აღჭურვა იგი უცთომელობის დოგმატით, რითაც ქრისტიანული ეკლესია აქცია პაპისტურ, მიწიერ ეკლესიად. მიწიერებამ კი შვა ბიწიერება – ისეთი სიმახინჯეები, როგორებიცაა ინკვიზიცია და ინდულგენციები, საეკლესიო საიდუმლოებებსა და ღვთისმსახურებას შინაარსი გამოეცალა და ოდენ რიტუალად იქცა. დესტრუქციული სულის მატარებელმა, თავად განიცადა რღვევა, რომელიც დღემდე გრძელდება. ამ რღვევის შედეგად მისგან იშვა ათასი ჯურის პროტესტანტული სექტა, მათ შორის ბაპტიზმი. სამწუხაროა, რომ პაპიზმის დაცემულობისაგან თავის გადასარჩენად პროტესტანტები ჭეშმარიტ ქრისტიანობას – მართლმადიდებლობას კი არ დაუბრუნდნენ, არამედ კიდევ უფრო დაშორდნენ ღმერთს, უარყვეს ისიც, რაც პაპისტებს ფორმალურად მაინც ჰქონდათ შემორჩენილი ქრისტიანობისაგან.

ბაპტიზტების სექტა იშვა ინგლისელ პურიტანთა წიაღში. პირველი ბაპტიზტური საკრებულო შეიქმნა ინგლისში 1633 წელს, ხოლო 1639 წელს იგი გადაიტანეს ჩრდილოეთ ამერიკაში, მისი ცენტრი გახდა როდ-აილენდის შტატი, იქიდან იგი შემდგომ მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. 1814 წელს შექმნილმა „ბაპტიზტურმა კავშირმა“ დიდი ფულადი სახსრები შეიძინა და თავისი პროპაგანდისტული საქმიანობა მთელს მსოფლიოში გაშალა. თანდათანობით ბაპტიზმი მრავალ მიმდინარეობად დაიშალა.

ბაპტიზტებს ახასიათებთ განსაკუთრებული მტრობა მართლმადიდებლობის მიმართ. ისინი მიზანმიმართულად ეწევიან პროზელიტიზმს ახალგაზრდა მართლმადიდებლებს შორის, ამისთვის შემუშავებული აქვთ სხვადასხვა მეთოდები. მაგრამ ჭეშმარიტი, თავანკარა, მაცხოვარ იესო ქრისტეს მიერ ჩვენთვის გახსნილი მაცხოვრებელი სწავლების ნაცვლად ისინი საცდუნებელ მსხვერპლს სთავაზობენ, შესვან ამღვრეული, მრავალი მწვალებლობითა და ცდომილებით დაბინძურებული წყაროდან, მათ მინდობილი სულები ფართო გზით მიჰყავთ დაღუპვისაკენ, დაავაწყდათ რა მაცხოვრის გაფრთხილება: **„და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამთავანი, უმჯობეს არს დაინთქს იგი უფსკრულსა ზღვსასა“** (მათე. 18, 6). ბაპტიზტების მზაკვრობა ისიცაა, რომ მათმა ზოგიერთმა „მღვდელმა“ საქართველოში ხალხის საცდუნებლად მართლმადიდებელი ღვთისმსახურის იერი მიიღო – მოუშვა წვერი, ჩაიცვა ანაფორა, დაიკიდა ჯვარი, – ანუ მგელი ცხვრის ქურქში გაეხვია.

ბაპტიზტები თანამედროვე ფარისევლები არიან. ისინი თვლიან, რომ გადარჩებიან მათ მიერვე მიჩნეული რაღაც კეთილი საქმეებით, ღმრთის მცნებათა ფორმალური განმარტებით. კანონის ასეთი გარეგნული შესრულება იესო ქრისტემ არაერთხელ ამხილა და თავის მოწაფეებს დაულო მცნება: **„ეკრძალებით ცომისაგან ფარისევლთაჲსა და სადუკეველთაჲსა“** (მათე. 16, 6).

ბაპტიზტებს, ისევე როგორც პროტესტანტებს, არა სწამთ ერთი, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესია, რომელიც, წმ. პავლე მოციქულის განმარტებით, **„არს ეკლესიაჲ ღმრთისა ცხოველისაჲ, სუეტი და სიმტკიცე ჭეშმარიტებისაჲ“** (ტიმ. 3. 15). 1937 წელს ლოზანის კონფერენციაზე ბაპტიზტების წარმომადგენელმა, აშვერტმა განაცხადა: **„ვაღიარებთ, რომ ქრისტიანთა**

(იგულისხმება სხვადასხვა კონფესიები – ავტ.) *ერთობა არსებითად მნიშვნელოვანია ქრისტიანთა ხასიათის სრულყოფისათვის, ამავე დროს ჩვენ არ ვთვლით არც ერთ ეკლესიას აუცილებლად იმისათვის, რომ აღდგეს კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის“.*

ქრისტემ უთხრა თაყის მოციქულებს: „*ამას კლდესა აღვაშენო ეკლესიად ჩემი, და კლდენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას“* (მათე. 16, 18). პროტესტანტებმა, მათ შორის ბაპტისტებმა, ამომალეს მაცხოვრის ეს სიტყვები სახარებიდან. ეკლესია არ არის ამა ქვეყნისაგან, მაგრამ იმყოფება ამ ქვეყანაში, ის არის სხეული ქრისტესი, ეკლესიის თავი თავად იესო ქრისტეა. ბაპტისტებისნაირ მწვალებლებზე ამბობს უფალი: „*უკეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ შენდა, ვითარცა მეზვერე და წარმართი“* (მათე. 18, 15-17).

უპირისპირდებიან რა ეკლესიას, ბაპტისტები თავიანთ თავს მოციქულებს უწოდებენ, მაშინ როდესაც მათ არა აქვთ არც მოციქულებრივი მემკვიდრეობა, არც საეკლესიო იერარქია. ისინი უარყოფენ იესო ქრისტეს მიერ დადგენილ ყველა საეკლესიო საიდუმლოებას. ნათლობა მათთვის მხოლოდ რიტუალია. ევქარისტის საიდუმლოებას ისინი პურის სიმბოლურ გატეხვად მიიჩნევენ. ასეთივე დამოკიდებულება აქვთ მათ სხვა საიდუმლოებების მიმართ. განიგდებენ რა თავს წმიდა ეკლესიისაგან, ბაპტისტები აკლდებიან ღმრთის მადლს, ცოცხალ მაცხოვრებელ ძალას, რომლის გარეშეც არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრება, არ არის ცხოვნება. „*მას არ შეუძლია ჰყავდეს მამად ღმერთი, ვისაც დედად არა ჰყავს ეკლესია. ეკლესიის გარეთ მყოფი ვადარჩებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ვადარჩებოდა ვინმე, მყოფი ნოეს კიდობანს გარეთ“*, – წერს წმ. მოწამე, კიპრიანე კართაგენელი. თავად ღმერთი ჩვენს განსასწავლად ამბობს: „*რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს“* (მათე. 12, 30). ამიტომაც ემსგავსებიან სექტანტები ხის მოჭრილ ტოტს, რომელიც ფესვებიდან მაცოცხლებელ წვენს ვეღარ ღებულობს.

ბაპტისტები ასევე არ ცნობენ საეკლესიო იერარქიას, რითაც ეწინააღმდეგებიან ღვთიურ სახლთმშენებლობას, რაზეც მოწმობს წმ. მოციქული პავლე თავის ეპისტოლეებში (ეფ. 4, 11-12). ბაპტისტებს, რომლებიც თავს „*ევანგელისტურ ქრისტიანებს“* უწოდებენ, დავიწყებული აქვთ ცოდვით დაცემის ბიბლიური ისტორია, ამიტომაც მათთვის დამცრობილია ბოროტებისა და ადამიანის დაცემის მნიშვნელობა, მათ ცხოვრებაში არ ფიგურირებს სულიერი ბრძოლის, ასკეტიკის ცნებები. ამით კი უგულებელყოფილია ქრისტიანული ცხოვრების აზრი – ღვაწლი წმიდა სულის მადლის მოსაპოვებლად.

ბაპტისტები ქრისტესთან დაკავშირებას ცდილობენ წმ. წერილის რაციონალისტური გაგებით. უგულებელყოფენ რა წმ. გადმოცემას, წმ. მამების სწავლებას, ისინი თავს უფლებას აძლევენ, თვითნებურად განმარტონ წმ. წერილი. ისინი შეგნებულად უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ წმ. წერილი გადმოცემულია წმ. წინასწარმეტყველთა და წმ. მოციქულთა მიერ სულიწმიდის შთაგონებით: „*არა ნებითა კაცთაითა მო-სადმე-იწია წინასწარმეტყველებად, არმედ წუევეითა სულისა წმიდაისადითა იტყოდეს წმიდანი ღმრთისა კაცნი“* (2 პეტრე. 1, 21). წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი წერს: „*ვინც სახარებასა და მთელ წმ. წერილს ხსნის თვითნებურად, ამით იგი უარყოფს მის განმარტებას წმ. მამების, სულიწმიდის მიერ. ხოლო ვინც უარყოფს წმ. წერილის განმარტებას სულიწმიდის მიერ, ის უარყოფს თვით წმ. წერილს“*.

ბაპტისტები არ მიაგებენ პატივს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, ქრისტიანების გულმოდგინე შემწეს, მიუხედავად იმისა, რომ მას აღიღებს თავად მთავარანგელოზი გაბრიელი: „*გიზაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“* (ლუკა. 1, 28). თავის რჩეულობაზე თავად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ამბობს: „*ამიერიდან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი. . . რამეთუ ჰყო ჩემთანა დიდებული ძლიერმან და წმიდა არს სახელი მისი“* (ლუკა. 1, 46-49). ღმრთისმშობელისაგან განკაცდა იესო ქრისტე. მიძინების შემდეგ დედა ღმრთისა თავობს ანგელოზთა კრებას, ის არის „*უპატიოსნესი ქერუბიმთასა და აღმატებით უზეშთაესი სერაფიმთასა“*.

ბაპტიზტებმა უარი თქვეს ჯვრის, – ქრისტეს ეშმაკზე გამარჯვების ამ იარაღისა და სიმბოლოს – თაყვანისცემაზე. ასევე მათ უარი თქვეს თაყვანისცემაზე: წმიდა ნაწილებისა, რომლებიც ღმრთის ძალით დღემდე ახდენენ კურნების სასწაულებს; წმიდა ხატებისა, რომელთაგან მრავალია ცნობილი თავისი სასწაულოქმედებით. ბაპტიზტები ასევე არ მიაგებენ პატივს წმ. ანგელოზებსა და ღმრთის რჩეულებს, წმინდანებს, ღმრთის წინაშე ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის მლოცველებსა და ქომაგებს, რითაც ისინი უარყოფენ ზეციურ ეკლესიას. ბაპტიზტები ასევე არ აღიარებენ ღმრთის განკაცებას, რომელიც შესაძლებელი გახდა მხოლოდ იესო ქრისტეში. წმ. ათანასე ალექსანდრიელი ამბობს, რომ ღმერთი გახდა კაცი, რათა კაცი ღმრთის მაღლით გამხდარიყო ღმერთი. მაღლით ჩვენი განღმრთობა კი ხორციელდება ჩვენს მიერ ქრისტეს წმიდა ხორცისა და სისხლის მიღებით, მასთან ზიარებით, რომელიც ხდება საღმრთო ლიტურგიაზე, წმ. ექვთარისტის საიდუმლოს აღსრულების დროს, ზიარებით, რომელსაც სექტანტები საკუთარი ნებით დააკლდნენ. უარყვეს რა ყველა სიწმინდე, რაც ძვირფასია მართლმადიდებლისათვის, ბაპტიზტებმა დაკარგეს მიწიერი სამშობლოს ცნებაც – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრი საქართველოსა.

ბაპტიზტები თავს გადარჩენილებად მიიჩნევენ იმით, რომ, თითქოს, მათ სწამთ ქრისტე და ნათლობა. ამასთან ისინი უარყოფენ განკაცებულ ღმერთს, თავად იესო ქრისტეს, ასევე ჩვილთა ნათლობას არ თვლიან ნამდვილ ნათლობად, ამასთან დაკავშირებით ისინი ამბობენ, რომ ბავშვები, თითქოს, უკვე განბანილნი და განწმენდილნი არიან ქრისტეს სისხლით და ამიტომ მათი ნათლობა საჭირო არ არის. ასეთი სწავლება ეწინააღმდეგება წმ. წერილსა და ეკლესიის უძველეს ტრადიციას. წმ. წერილი მოითხოვს ყველას ნათლობას, მათ შორის ბავშვებისაც. თავად ქრისტე ამბობს: **„უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელ-ეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“** (იოვანე. 3, 5), და თავისი ეს ნათქვამი ორი ამინით დაამოწმა.

ახალ აღთქმაში ნათლობის საიდუმლომ შეცვალა ძველადღებულ წინადაცვეთის წესი, რომელიც იყო ნათლობის წინასახე და სრულდებოდა ბავშვის დაბადებიდან მერვე დღეს. წმ. მოციქულთა საქმეში აღნიშნულია, რომ მოციქულები ნათლავდნენ მთელ ოჯახებს, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, ბავშვებიც იყვნენ. ვინაიდან მონათლულები ეკლესიის წევრები ხდებიან, ამიტომ რაც უფრო ადრე მოინათლება ადამიანი, მით უფრო ადრე ეზიარება ეკლესიის მაღლმოსილ ცხოვრებას.

რწმენით გადარჩენის რწმუნებას ბაპტიზტები აფუძნებენ წმ. წერილიდან ამოგლეჯილ ცალკეულ ფრაზებზე: **„ამენ, ამენ გეტყვით თქვენ: რომელსა პრწმენეს ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოდ“** (იოვანე. 6, 47). ეს ფრაზები არ შეიძლება განიხილებოდეს მათი წინამორბედი სიტყვებისაგან განცაკლევებით. წმიდა წერილი ერთმანეთისაგან ასხვავებს ცოცხალ და მკვდარ, მაცხოვრებელ და არამაცხოვრებელ რწმენებს. **„რაჲ სარგებელ არს, ძმანო ჩემო, უკუეთუ ვინმე თქუას: სარწმუნობაჲ მაქუს და საქმენი არა ჰქონდინ? ნუ ძალ-უც-მეა სარწმუნობასა ხოლო ცხონებად მისა? . . ეგეცა სარწმუნობაჲ: უკუეთუ არა აქუნდინ საქმენი, მეუდარ არს იგი ხოლო“** (იაკობ. 2, 14-17). აი, მკვდარი, არამაცხოვრებელი რწმენის მაგალითი: **„შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი? . . ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან“** (იაკობ. 2, 19). მაგრამ ეშმაკი თავიანთი ამ რწმენით ვერ გადარჩებიან. ასევეა ყველა მწვალებელი. წმ. წერილის ყველა ის ადგილი, რომელთაც ბაპტიზტები მოიხმობენ, საუბრობს არა მორწმუნეებზე, საზოგადოდ, არამედ მხოლოდ მათზე, ვისაც აქვთ ცოცხალი, მაცხოვრებელი სარწმუნობა. **„უფალო, უკუეთუ მცირედი არიან ცხორებულნი?“** – ეკითხებიან იესო ქრისტეს, იგი პასუხობს: **„ილუაწეთ იწროჲსა მისგან კარისა. ხოლო გეტყვ თქვენ: მრავალნი ეძიებდეს შესლვად და ვერ უძღონ შესლვად“** (ლუკა. 13, 24).

შესაბამისად, იმისათვის, რომ გადავრჩეთ საშინელ სამსჯავროზე განკითხვას, რომ ვცხონდეთ, არ არის საკმარისი, ვირწმუნოთ მხოლოდ ქრისტეს გამოძსნული მსხვერპლის შესახებ, საჭიროა ასევე ვიტვირთოთ ჯვარი, რომელიც ქრისტემ ზიდა: **„და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“** (ლუკა. 14, 27), რადგან **„რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს“** (მათე. 24, 13). ჩვენი გადარჩენის საწინდარი ქრისტესთან

ერთობაშია, რომელსაც ჩვენ ვაღწევთ ერთ, წმიდა, საყოველთაო და სამოციქულო ეკლესიაში, მის მიერ დადგენილ საიდუმლოებებში, მის ნებასთან ჩვენი ნების სრული მორჩილებით.

საქართველოში ბაპტისტების შემოდინება გასული საუკუნის დასაწყისიდან რამდენიმე ეტაპად განცხორციელდა: 20-იან წლებში, ლენინური ნებ-ის პერიოდში; 60-იან წლებში, როდესაც მართლმადიდებელი ეკლესია ათეისტური ხელისუფლების მარწუხებში იმყოფებოდა; ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, დასავლეთის ფულადი მხარდაჭერით. სექტანტობის განსაკუთრებული მხარდაჭერა და მომძლავრება საქართველოში ხორციელდება ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ამისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის ეკონომიკური სიღუხჭირე, ომში დამარცხებულობის სინდრომი, უპატრონობის განცდა და სხვა სოციალური პრობლემები. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იმიტომაც დაიგეგმა ჩვენი ომში ჩაბმა და დამარცხება, იმიტომაც დაინერგა ეკონომიკა, გაიძარცვა ხალხი, გაიყიდა ქვეყანა, განადგურდა განათლების სისტემა, ირყვნება ახალგაზრდობა, იგეგმება და ხორციელდება დემოგრაფიული გენოციდი (რისი მეთოდებიცაა: შობადობის შემცირება, კონტრაცეფცია, აბორტების ლიბერალიზაცია, სტერილიზაცია, ე.წ. ჩანაცვლების პროგრამები (მეტადონი) და ა.შ.), რომ სხვა ათას უბედურებასთან ერთად, გზა ხსნილი ჰქონოდათ სექტებსა და სექტანტებს, იმისათვის, რათა შემოსულიყვნენ ქვეყანაში, აგრესიული პროზელიტიზმით ეცდუნებინათ მართლმადიდებლები და დაეღუპათ მათი სულები. ყოველივე ამის საბოლოო მიზანი კი ერთია: დაამარცხონ მართლმადიდებლობა საქართველოში, ისევე როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში, და დასაჯონ „ურჩი“, მართლმადიდებელი ერი. ნუ იყოფინ!